

უცხოური ქართველოლოგია KARTVELIAN STUDIES ABROAD

ბერნარ უტიე
საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრი

შუშანიკის მარტვილობა ჰიპოთეზა სახარებათა ქართული თარგმანის თარიღის შესახებ*

მისთვის ჩვეული დაკვირვებით, სიზუსტითა და კვლევის ახალი პერსპექტივებით აგნეს უზუნიაძე ცოტა ხნის წინ ჩვენი ყურადღება მიაპყრო ახალი აღთქმის ციტაციას შუშანიკის მარტვილობაში.¹ ნება მიბოძეთ, პატივი მივაგო მას, მოკრძალებით გავაგრძელო მისი კვლევა და დავუდასტურო ჩემი აღფრთოვანება და მეგობრობა.

გამომცემლების თანახმად, სახარების ციტაციები შედარებით იშვიათად გვხვდება ორივე ტიპის ტექსტში: სამი მათგანი (გვ. 20-21, იოანე 10, 16; გვ. 34-35: ლუკა I, 47; გვ. 22-23: მათე 10, 28) და კიდევ ორი ალუზია (გვ. 18-19: იოანე 3, 5 და გვ. 20-21, იოანე 3, 6) გვხვდება სომხურ ტექსტში²; ქართულ ტექსტში³ კი გვაქვს ექვსი ალუზია (გვ. 12: მათე 10, 13; გვ. 13: იოანე 10,16; გვ. 24: ლუკა 12, 12, თუმცა იგი შეიძლება ჭეშმარიტ ციტაციად ჩაითვალოს; გვ. 25: მარკოზ 9, 44; გვ. 27: მათე 10, 39; გვ. 28: მათე 20, 6).

მაგრამ, თუ ყურადღებით დავაკვირდებით ტექსტს, მეტადრე ქართულს, ავტორის სიტყვები ამოცნობადია: შუშანიკი იესო ქრისტესავით ეწამა და გარდაიცვალა; აქ არაფერია ორიგინალური, რადგან თხრობები მარტვილობის შესახებ, დაწყებული პირველმოწამე სტეფანედან, წმინდანს წარმოგვიდგენენ ღვთაებრივი მოდელის მიხედვით. ჩვენ ტექსტში გავაიგივებთ ალუზიები, რომლებიც სწორად შეიძლება ძნელად საწვდომი გვეჩვენოს, მაგრამ V ს-ში ადვილად გასაიგივებელი იყო მსმენელისა თუ მკითხველისთვის, რომლებმაც ზეპირად იცოდნენ სახარების ტექსტი: ორიოდ სიტყვაც კმაროდა კონტექსტის შესახსენებლად.

* Le martyre de Šušānik. Une hypothèse au sujet de la date des traductions géorgiennes des Évangiles, Revue des études arméniennes, t. 39, Hommage à Agnès Ouzounian, 2020, 593-597.

1 Agnès Ouzounian, Note à propos d' une citation néo-testamentaire dans le Martyre de Šušānik, in: Mélanges Jean-Pierre Mahé (Travaux et mémoires 18) éd. A. Mardirossian, Agnès Ouzounian et C.Zuckerman, Paris, 2014, 493-505.

2 კრიტიკული გამოცემა: ო. შიუჩაიუანს, *Մուրբ Շուշանիկի վկայաբանություն*, Երևան, 1996, 18-60.

3 კრიტიკული გამოცემა: ი. აბულაძე, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს), თბილისი, 1963, 11-29. ი. აბულაძემ კრიტიკული გამოცემა გამოაქვეყნა 1938 წ., რომელიც 1968 წ. ხელახლა გამოიცა.

პირველი ალუზია, რომელიც მინდა წარმოგიდგინოთ, გახლავთ იოანეს ორი ფრაგმენტის ნაზავი,⁴ ძირითადი ნასესხობა დისკურსიდან სერობის შემდეგ – შუშანიკიც იბარებს თავის უკანასკნელ სურვილს:

(1) იოანე 17, 9, 11; 10, 16

მარტვილობა 13, 3-6: „შენნი მოცემულნი არიან და შენ დაიცვენ იგინი ... ყოფად ერთ სამწყსო ერთისა მწყემსისა“

ადიშის ოთხთავი: „მომცენ მე, რამეთუ შენნი არიან... დაიცვენ ესენი ... რადთა იყვნენ ერთ ... სამწყსო და ერთ მწყემს“

პროტოვულგატა: „მომცენ მე, რამეთუ შენნი არიან... დაიცვენ ესენი ... რადთა იყვნენ ერთობით ... სამწყსო და ერთ მწყემს“

სიტყვა „ერთობით“ არ არის მარტვილობაში. შეიძლება ვიფიქროთ ორი ალუზიის შერწყმაზე, თუ ავიღებთ სიტყვას „ერთი“ იოანე 10, 16-დან და არა იოანე 17, 11-დან – იგი საერთოა იოანე 10, 16-ის ორივე რედაქციისთვის; თუმცა აუცილებლად დაიძებნებოდა მარტვილობის ადიშის რედაქციასთან თანხვედრის სხვა მაგალითებიც.

(2) იოანე 16, 20

მარტვილობა 14, 15-16: „ვითარ ... სიხარული მწუხარებად გარდაიქცა?“

ადიშის ოთხთავი: „მწუხარებად თქუენი სიხარულად გექმნეს“

პროტოვულგატა: „მწუხარებად თქუენი სიხარულად გარდაიქცეს“

კვლავ საქმე გვაქვს სერობის შემდგომ კონტექსტთან – ოლონდ, კონსტატაცია საპირისპიროა. ამჯერად ზმნა პროტოვულგატიდანაა.

(3) მარკოზი 12, 13-15

მარტვილობა 14, 17-18: „ზაკუვით ... უნდა მონადირებად ... ხოლო ... მან ცნა“

ადიშის ოთხთავი: „რადთამცა მონადირეს იგი... ზაკუვით ... ხოლო მან უწყოდა“

პროტოვულგატა: „რადთა მონადირონ იგი ... ზაკუვით ... ხოლო თავადმან იცოდა“

ზმნა „მონადირება“ სახარებებში მხოლოდ ამ შემთხვევაში გვხვდება. მარტვილობის რედაქცია ადიშის რედაქციიდან სესხულობს მარტივ ნაცვალსახელს, ხოლო ზმნა უფრო ახლოსაა პროტოვულგატის ზმნასთან.

(4) მათე 26, 75

მარტვილობა 16, 2: „ცრემლით გარე განვიდა“

ადიშის ოთხთავი: „გამოვიდა გარე და ტიროდა“

პროტოვულგატა: „გა/მო/ვიდა გარე ... და ტიროდა“

4 ქართული ტექსტების ნახვა შეიძლება საიტზე: titus.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/nt/ntkpl/ntkpl.htm.

მარტვილობის „განვიდა“ მხოლოდ უძველეს ხელნაწერში, X საუკუნის პარხლურ მრავალთავშია; სხვა ხელნაწერებში გვაქვს „გამოვიდა“; პროტოვულგატის ხელნაწერებში ორივე მათგანია; გადამწერებმა სახარებები ზეპირად იცოდნენ.

(5) მათე 26, 20

მარტვილობა 16, 23: „და რაჟამს შემწუხრდა“

ადიშის ოთხთავი: „და ვითარ დამწუხრდა“

პროტოვულგატა: „და ვითარ შემწუხრდა“

სერობის შემოტანა მათესთან; ზმნას პროტოვულგატის ზმნისწინი აქვს.

(6) მათე 27, 34

მარტვილობა 17, 2: „გემოდ არარადსად იხილა“

ადიშის ოთხთავი: „ვითარ გემოდ იხილა, არა უნდა სუმად“

პროტოვულგატა: „მი-რად-ილო არა უნდა სუმის“

მარტვილობაში იგივე ზმნაა, რაც ადიშის ოთხთავში; შუშანიკი უარს ამბობს რძლის მიწოდებულ სასმელზე.

(7) მარკოზი 14, 44

მარტვილობა 17, 19-20: „ბრძანა ... შეყვანებად და კრძალულად დაცვა მისი“

ადიშის ოთხთავი: „წარიყვანეთ კრძალულად“

პროტოვულგატა: „წარიყვანეთ კრძალულად“

ეს ზმნიზედის გამოყენების ერთადერთი შემთხვევაა სახარებებში: გრძელდება პარალელი იუდას მიერ გაყიდულ ქრისტესთან.

(8) ლუკა 23, 27

მარტვილობა 20, 31-33: „მოვიდოდა ... ამბოხი მრავალი დედებისა და მამებისა, ... უკუანა შეუდგეს ... და ტირიდეს“

ადიშის ოთხთავი: „მისდევდა მას სიმრავლე ერისაჲ მის და დედებისაჲ, რომელნი ტიროდეს“

პროტოვულგატა: „შეუდგა მას სიმრავლეჲ ერისაჲ და დიდებისაჲ რომელნი ეტყებდეს“

აქ მარტვილობა ამკარად ორივე რედაქციიდან სესხულობს.

(9) მათე 27, 24

მარტვილობა 21, 18: „უბრალომცა ვარ“

ადიშის ოთხთავი: „უბრალო ვარ“

პროტოვულგატა: „უბრალომცა ვარ“

აქ გამეორებულია პილატეს სიტყვა პროტოვულგატის უმეტეს ხელნაწერებში მოცემული ფორმით.

(10) იოანე 1, 36

მარტვილობა 22, 4: „ვიხილე ტარიგი იგი“

ადიშის ოთხთავი: „კრავი“

პროტოვულგატა: „ტარიგი იგი“

იოანესთან გვაქვს მსხვერპლად მითითებული იესო; აქაც, მარტვილობა აშკარად სესხულობს პროტოვულგატიდან.

მარტვილობაში გვხვდება სხვა ფრაგმენტებიც, სადაც იაკობი ავითარებს შუშანიკის ქრისტესთან იდენტიფიკაციის თემას და სადაც სახარებების ქართული თარგმანები თანხვედრაშია: მაგრამ, აქ ჩვენი მიზანია, წარმოვაჩინოთ, რომ იაკობ ცურტაველი იცნობდა და იყენებდა სახარებათა ორივე ძველ ქართულ თარგმანს, ძირითადად კი პროტოვულგატას.

ხომ არ დადგა დრო, შემოგთავაზოთ ნ. მარის იმ პოზიციისგან განსხვავებული თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, ადიშური რედაქცია სომხურიდან შეიძლება იყოს ნათარგმნი, ხოლო პროტოვულგატა სომხურ და ქართულ ეკლესიებს შორის მომხდარი განხეთქილების შემდეგ მის ბერძნულის მიხედვით რევიზირებულ ვარიანტს წარმოადგენდეს? აქ მოყვანილი და ქართველ კოლეგათა მონაცემები, ვფიქრობ, სხვა ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებენ, კერძოდ იმაზე, რომ ორივე ძველი თარგმანი (V ს-ის I ნახევრის) პალესტინური ბერძნულიდანაა შესრულებული: პროტოვულგატა საქართველო/იბერიაში, ადიშური რედაქცია კი – პალესტინაში (ლამარა ქაჯაია გიორგი ათონელის შენიშვნის საფუძველზე ვარაუდობდა, რომ იგი შესაძლოა, საბაწმიდაში მისივე რედაქციით იყოს შექმნილი).

რამდენიმე იშვიათი ლექსიკური ნასესხობა, როგორცაა „ჩოროროდ“, მოწმობს, რომ როცა ქართველი მთარგმნელი არ იცნობდა ბერძნულ ტერმინს, სომხურ თარგმანს ჩახედავდა და ქართულს მას უსადაგებდა. იგივე მოვლენა მივუთითებ ფსალმუნების თარგმანისთვის ებრაელთა მუსიკალურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით.

ფრანგულიდან თარგმნა

ცინა ბიბილეიშვილმა

კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

tsissana@hotmail.com